

აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განყოფილების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 23 ოქტომბრის #01-05-02/60 დადგენილებით

საქართველო, ქ. თბილისი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი
უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

2023

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის გაყოფილების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განყოფილების (შემდგომში – განყოფილება) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. განყოფილების მიზნებია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეფექტური ფინანსური მენეჯმენტის განხორციელებაში ხელშეწყობა, ფინანსური სიჯანსაღისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ერთიანი სისტემის დანერგვა და ადმინისტრირება.
3. განყოფილება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საბიუჯეტო ორგანიზაციების აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულების, დეპარტამენტის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განყოფილება ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. განყოფილების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

განყოფილების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
ა) აქტივების და ვალდებულებების ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაცია;
ბ) ინვენტარიზაციის ზოგადი წესების შემუშავება;
გ) ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე სხვაობების რეგულირება;
დ) ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე ინფორმაციის მომზადება, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
ე) ბუღალტრული მონაცემების და ფაქტიური ნაშთების შედარება;
ვ) შერჩევითი ინვენტარიზაციის ჩატარება;

ზ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 3. განყოფილების ხელმძღვანელობა და პერსონალი

1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე.
3. განყოფილების უფროსი:

ა) განყოფილებას უსახავს გრძელვადიან და მოკლევადიან ამოცანებს, წარმართავს და აკონტროლებს სამუშაო გეგმებს დასახული ამოცანების მიღწევის მიზნით, პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე;

ბ) აფიქსირებს განყოფილების პოზიციას იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი;

გ) პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში მყოფი განყოფილების თანამშრომლების შეფასებაზე, წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციაზე, დისციპლინარული ღონისძიებების ინიცირებაზე, ითანხმებს ან/და თავად განსაზღვრავს განყოფილების მიერ შესასრულებელი სამუშაოს ვადებს;

დ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს განყოფილების საქმიანობას, არეგულირებს და წყვეტს პროფესიულ და ორგანიზაციულ პრობლემებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განყოფილების ეფექტური მუშაობისთვის;

ე) ითანხმებს და პასუხისმგებელია განყოფილების მიერ შესრულებულ ფუნქციებზე, პროცედურებზე, დასკვნებზე, ანგარიშებზე და სხვადასხვა სახის აქტებზე;

ვ) ხელს აწერს და ვიზას ადებს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;

ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წინადადებებს განყოფილების სტრუქტურისა და საშტატო განრიგის ოპტიმიზაციის მიზნით;

თ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა განყოფილების ამოცანების შესასრულებლად;

ი) აკონტროლებს განყოფილების თანამშრომელთა მიერ შინაგანაწესის დაცვას;

კ) პასუხისმგებელია განყოფილებაზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ლ) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზრვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხელფასის სათანადო სხვაობის ანაზღაურებით.

5. განყოფილების საშტატო რიცხოვნობა და რანგირება განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.
6. განყოფილების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
7. განყოფილების თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და განყოფილების ლიკვიდაციის შემთხვევაში.